სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

დიდი დიღომის მე-2 მიკროს მაცხოვრებლებისგან
შემდგარი საინიციატივო ჯგუფის ერთობლივი

განცხადება/საჩივარი

(ლელა გურგენიძის 2021 წლის 24 მაისის AR1817977)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, 1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

როგორც ცნობილია, დიდი-დიღომი წლებთან ერთად, სულ უფრო და უფრო მჭიდროდ დასახლებული უბანი გახდა, სადაც იზრდება შენობა-ნაგებობები რიცხვი და მცირდება რეკრეაციული ზონებისთვის, სკვერებისთვის და პარკებისთვის დათმობილი ტერიტორიების ფართი, რაც უარყოფითად აისახება ჩვენს გარემოს სიჯანსაღეზე.

დიდი-დიღმის მეორე მიკრო-რაიონის მოსახლეობა, დავდექით ფაქტის წინაშე, როდესაც დ.თავდადებულის N14ა-ში (უძრავი ქონების ს/კ 01.10.06.006.244; დაზუსტებული ფართობი: 10589 კვ/მ) შევნიშნეთ მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დასაწყისი ეტაპი, კერძოდ: წლების განმავლობაში, ჩვენს მიერ დარგული ხეების ამოთხრა და შემოსაღობად გამზადებული ტერიტორიის მონიშვნა. ჩვენს მიერ, გადამოწმების შემდეგ, გავარკვიეთ, რომ ზემოთ აღნიშნული ტერიტორია, სსიპ უძრავი ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, 49 წლის ვადით, აღნაგობის უფლებით გადაეცა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელმაც უნდა ააშენოს შენობა-ნაგებობა და მოაწყოს სათამაშო საფეხბურთო სტადიონი. დიდი-დიღმის დაარსების დღიდან, მოცემული ტერიტორია, გამოიყენება მოსახლეობის საერთო ინტერესებისთვის, ის წარმოადგენს სასეირნო, დასასვენებელ-გამაჯანსაღებელ უსაფრთხო და აუცილებელ რეკრეაციულ სივრცეს.

მიმდინარე წლის 20.01.2021-ში თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, (განცხადების ნომერი: AR1776841) შევიდა, მოქალაქის მიერ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით დადგენის შესახებ განაცხადი, რაზეც მიმდინარე წლის 15.04.2021-ში არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცა თანხმობა (ბრძანება N 5360664).

მიმდინარე წლის 27.04.2021- შითბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, (განცხადების ნომერი: AR1823682) შევიდა მოქალაქის განაცხადი, რომელიც ითხოვდა აღნიშნულ ტერიტორიაზე უკანა ეზოს მოხსნას. აღნიშნული განაცხადებზე მიმდინარე წლის 24.05.2021-ში არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცა თანხმობა (ბრძანება № 5417868).

მიმდინარე წლის მიმდინარე წლის 27.05.2021-ში თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, (განცხადების ნომერი: AR1817977) შევიდა მოქალაქის განაცხადი, რომელიც ითხოვდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. აღნიშნული განცხადება ამჟამად არის განხილვის პროცესში.

დიდი-დიღმის მეორე მიკრო-რაიონის მოსახლეობის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჩვენ ჩართულები უნდა ვიყოთ კონკრეტულად დ.თავდადებულის N14ა-ში (უძრავი ქონების ს/კ 01.10.06.006.244; დაზუსტებული ფართობი: 10589 კვ/მ) განთავსებული მიწის ნაკვეთის საკითხთან მიმართებით მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, ვინაიდან ვართ დაინტერესებული მხარე და გაგვაჩნია შემდეგი კითხვები:

1. რამდენად არის გათვალისწინებული პროექტში ობიექტზე მისადგომობა (იგულისხმება სატრანსპორტო კვლევა და სატრანსპორტო ოთხი სქემა) (აკრედიტირებული ბიუროს მიერ). პროექტში არ ჩანს რამდენად არის ის გათვლილი საჭიროების შემთხვევაში სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო და პოლიციის ობიექტზე შეუფერხებელ მისვლაზე. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, იქ მომუშავე პერსონალის, მსაჯების მწვრთნელების და მოთამაშეების გარკვეული პროცენტულობა, ასევე გადაადგილება ავტომობილებით.

2. პროექტში არ ჩანს იქ მომუშავე პერსონალისთვის და არა მხოლოდ საპარკინგე ადგილი? ასევე, ფესტივალების ჩატარების დროს სად ხდება მაყურებლის მანქანების განთავსება?

3. მაყურებლის რა რაოდენობაზე არის გათვლილი ტრიბუნები?

4. უსაფრთხოების და საევაკუაციოგეგმით არის თუ არა დაანგარიშებული ევაკუაციის გამოცხადების დროს რამდენ წუთში უნდა მოხდეს უსაფრთხო ადგილზე ადამიანების გაყვანა?

5. აქვს თუ არა სტადიონს ოთხივე მხარეს სახანძრო მანქანის მისაწვდომობა? განთავსებული არის თუ არა კანონით გათვალისწინებული გიდრანტი?.

6. რამდენადა არის აღჭურვილი უსაფრთხოების მხრივ და დღევანდელი კანონის შესაბამისად ძირითადი შენობა, რომელიც ემსახურება პროექტის მიხედვით მსაჯების მწვრთნელების და მოთამაშეების სივრცეებს, პროექტი რატომ არის ატვირთული არის როგორც "დამხმარე ტექნიკური შენობა ნაგებობა„-ს ნომერკლატურით?როდესაც შესაბამის ორგანოებში არსებობს პროექტის ატვირთვის დროს ნომერკლატურა "სტადიონი„ ასევე აქვს "მოედანი"?

7.არის თუ არა აღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ)-ს დავალება გაცემული? თუ არის, როგორ მოხდა რომ დღევანდელი რეგულაციებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობები ისე რომ (გრგ) დავალება არ იყო გაუქმებული (ცნობისთვის გრგ დავალება გაიცა საგანმანთლებლო დაწესებულებაზე)

8. მოხდა თუ არა სპეც-ტექნიკით და სპეციალისტების მიერ, აღნიშნული ხე-მცენარეების გადარგვა და რა ტერიტორიაზე? მიმდინარეობს თუ არა მოვლა პატრონობა?

9. არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზის მოთხოვნა რამდენად სრულად არის შესრულებული პროექტი?

10. მოხდა თუ არა ან იგეგმება სატრანსპორტო კვლევის და სქემის საექსპორტო შეფასება?

11. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია სცდება კანონით დადგენილ 6000მ2 ფართს უნდა იყოს თუ არა მოთხოვნილი ტრანსპორტის კვლევა (მითუმეტეს პროექტის შეთანხმება მიმდინარეობს ბავშვთა საფეხბურთო მოედნის) უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული.

მიგვაჩნია, რომ ყველა ეს კითხვა არ ის ლეგიტიმური, რომელიც მოითხოვს დასაბუთებულ პასუხს. ისევე როგორც ის ფაქტი, თუ რა ტერიტორია იქნება მოსახლეობის შეუფერხებელ სარგებლობაში. მითითებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.06.006.244 ნებისმიერი სამშენებლო საქმიანობა, მათ შორის დახურული საფეხბურთო მოედნის მოწყობა, მოდის დიდი დიღმის მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებთან, მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების პრინციპებთან, შინაარსებთან და მიზნებთან პირდაპირ წინააღმდეგობაში, რადგან იგი სამუდამოდ შეუძლებელს ხდის მიკრორაიონის მოსახლეთა დაკმაყოფილებას გამწვანებული ტერიტორიით, როგორც საზოგადოებრივი სივრცით, რის მოხმარებაც ნებისმიერ მათგანს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად უნდა შეეძლოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით, 1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან ვართ დაინტერესებული მხარე, გთხოვთ ჩაგვრთოთ, ყველა იმ საკითხის განხილვის პროცესში (წინასწარ გვაცნობოთ დრო და ადგილი), რომელიც დაკავშირებულია დ.თავდადებულის N14ა-ში (უძრავი ქონების ს/კ

01.10.06.006.244; დაზუსტებული ფართობი: 10589 კვ/მ) განთავსებული მიწის ნაკვეთის საკითხთან. ამ ეტაპზე, კონკრეტულად 27.05.2021-ში თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში შესულ (განცხადების ნომერი: AR1817977) განცხადებასთან დაკავშირებით.

საინიციატივო ჯგუფის სახელით ხელს ვაწერ:

თამარ ადამია (პ/ნ 01025018828) - მობ. ნომერი:577033501ელ. ფოსტა: tamar_adamia@yahoo.com

საინიციატივო ჯგუფის წევრები:

1. რიტა კოხოძე (პ/ნ09001007142) - maritakox@gmail.com
2. სოფია პანაეტოვა (პ/ნ 01025000998) - sophia.panaetova@gmail.com
3. ელენე მეჩიტოვა (პ/ნ 01030029445) - helen.mechitova@gmail.com
4. ანდრო ტატიშვილი (პ/ნ 01030037044) – atatishvili@gmail.com
5. ბუბა ხუცურაული (პ/ნ 01024080892) - b.khutsurauli1@gmail.com;

26 ივლისი 2021 წელი